გორის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს
განკარგულება № 115

2020 წლის 11 სექტემბერი

ქალაქი გორი

გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე შპს „ენ დი ჯგუფი" - ს (ს/ნ 400168126) სასარგებლოდ სერვიტუტის დადგენასთან დაკავშირებით, გორის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსულია შპს ''ენ დი ჯგუფი'' - ს (ს/ნ 400168126) დირექტორის მაია კვირიკაშვილის წერილი (მუნიციპალიტეტის რეგისტრაცია N 12863 28.07.2020წ.), სადაც აღნიშნულია, რომ მათ მიერ შეძენილ მიწის ნაკვეთს არ აქვს მისასვლელი გზა, ხოლო სერვიტუტს აპრილის თვეში გაუვიდა ვადა. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოთხოვნილია სერვიტუტის გაგრძელება, შპს „ენ დი ჯგუფი" - ს საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის მომიჯნავედ მდებარე, გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 66.46.20.631.003), რათა, მათ სასარგებლოდ დადგინდეს სერვიტუტი და ისარგებლონ აღნიშნული ნაკვეთით, როგორც მისასვლელი გზით.

საქართველოს კანონის „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის" 247-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად მიწის ნაკვეთი ან სხვა უძრავი ქონება შეიძლება სხვა მიწის ნაკვეთის ან სხვა უძრავი ქონების მესაკუთრის სასარგებლოდ ისე იქნეს გამოყენებული (დატვირთული), რომ ამ მესაკუთრეს უფლება ჰქონდეს, ცალკეულ შემთხვევებში ისარგებლოს ამ ნაკვეთით, ან აიკრძალოს ამ ნაკვეთზე ზოგიერთი მოქმედების განხორციელება, ანდა გამოირიცხოს დატვირთული ნაკვეთის მესაკუთრის ზოგიერთი უფლების გამოყენება სხვა ნაკვეთის მიმართ (სერვიტუტი).

ზემოაღნიშნული ფაქტობრივი მდგომარეობიდან გამომდინარე, სამართლებრივი ნორმებს საფუძველზე და იმის გათვალისწინებით, რომ არ იქნეს მესაკუთრე შპს ,,ენ დი ჯგუფი'' - ს შეზღუდვა მის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთით სარგებლობისას, გორის მუნიციპალიტეტის მერს და გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნიათ შპს ,,ენ დი ჯგუფი'' - ს სასარგებლოდ საზღაურის გარეშე, ორი წლის ვადით, დადგინდეს სერვიტუტი მათ საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის (ს/კ 66.46.20.631.006) მომიჯნავედ მდებარე, გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის (ს/კ 66.46.20.631.003) ჩრდილოეთ საზღვართან, რათა შპს ენ დი ჯგუფმა აღნიშნული მიწის ნაკვეთით ისარგებლოს, როგორც მის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთთან მისასვლელი გზით.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, 122-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის, მე-4 და მე-5 პუნქტების შესაბამისად, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს შპს ,,ენ დი ჯგუფი'' - ს (ს/ნ 400168126) სასარგებლოდ საზღაურის გარეშე, ორი წლის ვადით, სერვიტუტის დადგენაზე შპს ,, ენ დი ჯგუფი'' - ს საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის (ს/კ 66.46.20.631.006) მომიჯნავედ მდებარე გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის (ს/კ 66.46.20.631.003) ჩრდილოეთ საზღვართან - დანართის სახით წარმოდგენილი ორთო ფოტოს (იხ. დაშტრიხული ნაწილი) მიხედვით, რათა შპს ენ დი ჯგუფმა აღნიშნული მიწის ნაკვეთით ისარგებლოს, როგორც მის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთთან მისასვლელი გზით.

2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე